საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/979
07.10.2024

ბრძანება

979-01-4-202410071638

„საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიშის“ დამტკიცების შესახებ

„კონკურენციის შესახებ“ კანონის 17^1 მუხლის მე-4 პუნქტის, 17^2 მუხლის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტისა და საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2024 წლის 16 ივნისის №04/524 ბრძანების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოდგენილი - „საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში თანდართული ფორმით;

2. ანგარიში მისი მიღებიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე კანონით დადგენილი წესით;

3. ეს ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე

საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების ანგარიში

შეფასების ობიექტი: საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება

თბილისი

ოქტომბერი, 2024 წელი

შინაარსი

შესავალი.....2

1. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე გადაწყვეტილება 6

1.1. მოკვლევის დაწყების საფუძველი 6

1.2. შესაბამისი ბაზარი და შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები 7

1.3 შეზღუდვის გამამართლებელი არგუმენტაცია.....8

1.4. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება 9

2. გადაწყვეტილების გავლენა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო პირობების შინაარსის ფორმირებაზე 11

3. გადაწყვეტილების გავლენა შესაბამის ბაზარზე 14

დასკვნა 21

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი მიზნად ისახავს საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - „სააგენტო“) თავმჯდომარის 2024 წლის 17 ივნისის N04/524 ბრძანების შესაბამისად სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასებასა და შესაბამისი ბაზრის ex-post მონიტორინგს.

„კონკურენციის შესახებ“ კანონის (შემდგომში „კანონი“) 17[2] მუხლის „ე“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს ერთ-ერთ ფუნქციას წარმოადგენს მიღებული გადაწყვეტილებებისა და გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი, ხოლო საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის №288 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების“ მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ჰ“ ქვეპუნქტის მიხედვით, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება წარმოადგენს სააგენტოს საქმიანობის ერთ-ერთი ძირითად ფუნქციას.

სააგენტოს გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების მიზანია, ერთი მხრივ, გამოკვლეულ იქნას ამგვარი ქმედების ზეგავლენის შინაარსი და მასშტაბები შესაბამისი ბაზრის კონკურენტული გარემოს მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, გაუმჯობესებულ იქნას სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.[1]

სააგენტოს გადაწყვეტილების შემდგომ შეფასებას (Ex-post Evaluation) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია კონკურენციის პოლიტიკის განსაზღვრის სფეროში, რადგანაც ის გამოიყენება სააგენტოს მიერ მიღებული, აღსრულებული გადაწყვეტილებების შეფასების მიზნით და შესაბამისად, მას შეუძლია დამხმარე როლი შეასრულოს სამომავლოდ მისაღები გადაწყვეტილებების ხარისხის გაუმჯობესებაში. Ex-post შეფასება ერთი ან უფრო მეტი კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებიდან განსაზღვრული წლის/წლების გასვლის შემდეგ გამოწვეული რეალური ეფექტის შეფასებას მოიაზრებს.[2]

წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში სამიზნე გადაწყვეტილებას წარმოადგენს, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, დადასტურდა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმართველი ორგანოსა (მარნეულის მუნიციპალიტეტის მერიის) და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის დარღვევის ფაქტი. კერძოდ, კანონდარღვევად იქნა მიჩნეული სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილე შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო პირობად დაწესებული ბარიერი, რომლის მიხედვით ტენდერში მონაწილეობისათვის

[1] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გზამკვლევი დოკუმენტი სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა და განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შესახებ, 2023, გვ.4

[2] იქვე. გვ.6

პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში.

ამასთანავე, სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანების მე-5 პუნქტის შესაბამისად, კანონდარღვევის პრევენციის უზრუნველსაყოფად, სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ეთხოვა[3] შემსყიდველი ორგანიზაციებისათვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება საკუთარ ვებგვერდზე განთავსების (ან სხვაგვარი შეტყობინების) გზით; გარდა ამისა, ვინაიდან მოკვლევის ფარგლებში სააგენტოს მიერ გამოვლენილ იქნა, რომ სადავო სატენდერო ჩანაწერი ფიქსირდებოდა ასევე ხაშურის, ქარელის, კასპის, წალკის, გარდაბნისა და დმანისის მუნიციპალიტეტის მერიების მიერ გამოცხადებულ ტენდერებშიც, სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება გადაეგზავნათ აღნიშნულ მუნიციპალიტეტებს.[4]

ამასთანავე, სააგენტოს აღნიშნული გადაწყვეტილება თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე გადაეგზავნათ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს,[5] ქალაქ თბილისის მერიას,[6] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას[7] და სახელმწიფო რწმუნებულებს (სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეში,[8] რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის მხარეში,[9] გურიის მხარეში,[10] იმერეთის მხარეში,[11] შიდა ქართლის მხარეში,[12] მცხეთა-მთიანეთის მხარეში,[13] ქვემო ქართლის მხარეში,[14] სამცხე-ჯავახეთის მხარეში,[15] კახეთის მხარეში[16]) თავიანთ საქმიანობაში სააგენტოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გათვალისწინების მიზნით.

კანონით განსაზღვრულია თავისუფალი და სამართლიანი კონკურენციის არამართლზომიერი შეზღუდვისაგან დაცვის პრინციპები, რაც თავის მხრივ, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტუნარიანი ბაზრის განვითარების საფუძველს წარმოადგენს. კანონის მოქმედება თანაბრად ვრცელდება როგორც ეკონომიკური აგენტების, ასევე **სახელმწიფო ხელისუფლების, ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლების, მუნიციპალიტეტის ორგანოს, სხვა ადმინისტრაციული ორგანოს ქმედებასა და გადაწყვეტილებაზე,** რომლებიც იწვევს თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის შეზღუდვას. მნიშვნელოვანია, რომ

[3] სააგენტოს 2024 წლის 9 ივლისის წერილი N 02/2543

[4] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს 2023 წლის 11 აპრილის წერილები: ხაშურის მუნიციპალიტეტს (რეგ. №02/971); გარდაბნის მუნიციპალიტეტს (რეგ. №02/972); ქარელის მუნიციპალიტეტს (რეგ. №02/973); დმანისის მუნიციპალიტეტს (რეგ. №02/975); წალკის მუნიციპალიტეტს (რეგ. №02/976); კასპის მუნიციპალიტეტს (რეგ. №02/978).

[5] სააგენტოს 2023 წლის 18 აპრილის წერილი N02/1050

[6] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1018

[7] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1022

[8] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1008

[9] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1007

[10] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1003

[11] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1005

[12] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1000

[13] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1006

[14] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1001

[15] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1002

[16] სააგენტოს 2023 წლის 13 აპრილის წერილი N02/1004

აღნიშნული ორგანოების მიერ ხდება სახელმწიფო შესყიდვების ორგანიზება, რომელშიც გამოყენებულია სახელმწიფო სახსრები. ამასთან, სახელმწიფო ფინანსების რაციონალური ხარჯვა წარმოადგენს სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების ერთ-ერთ ძირითად ვალდებულებას, რომლის პარალელურად სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციებს ეკისრებათ „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების შესრულების ვალდებულებაც.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ყოველწლიურად სახელმწიფო შესყიდვებში შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ ხდება დიდი მოცულობის თანხების დახარჯვა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გამოქვეყნებული ანგარიშის მიხედვით, 2022 წელს სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში დადებული ხელშეკრულებების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 7,398,621,294 ლარი[17], ხოლო 2023 წელს მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულება 10,5 მილიარდ ლარამდე იყო[18]. აღნიშნული ციფრები ნათლად მეტყველებენ ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებაში სახელმწიფო შესყიდვების მნიშვნელოვან როლსა და ფუნქციაზე.

აღსანიშნავია, რომ 2023 წელს სააგენტომ შეიმუშავა გზამკვლევი დოკუმენტი,[19] რომელიც გულისხმობს სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა და განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს. გზამკვლევ დოკუმენტში მოცემულია შესაბამისი კრიტერიუმები და მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს დამხმარე საშუალებას სააგენტოსთვის სრულყოფილად შეფასდეს მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენა და განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

სააგენტოს გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების მიზანია, ერთი მხრივ, გამოკვლეულ იქნას ამგვარი ქმედების ზეგავლენის შინაარსი და მასშტაბები შესაბამისი ბაზრის კონკურენტული გარემოს მიმართ, ხოლო, მეორე მხრივ, გაუმჯობესდეს სააგენტოს მიერ საქმის მოკვლევის განხორციელებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესი. სააგენტოს გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება დამხმარე საშუალებაა იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა მიზანს მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ხოლო მისი მიუღწევლობის შემთხვევაში, რამ განაპირობა აღნიშნული შედეგი. აღნიშნული შეფასების პროცესის მიზანია დადგინდეს, რამდენად დადებითი ეფექტი ჰქონდა სააგენტოს გადაწყვეტილებას იმ კონკრეტული ბაზრის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც მიღებულ იქნა შესაბამისი გადაწყვეტილება. ასევე, იგი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს სააგენტოს საქმიანობის გამჭვირვალობას და გაამყაროს სააგენტოს მხრიდან ინტერვენციის მიზანშეწონილობა.

---

[17] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2022 წლის საქმიანობის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://procurement.gov.ge/files/showfiles?id=6fb43adb-0b03-41da-9a1a-4a8c6e10ab00 [01.10.2024]

[18]სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2023 წლის საქმიანობის ანგარიში, ხელმისაწვდომია: https://procurement.gov.ge/files/showfiles?id=fb7018f3-6637-4dc3-aee3-8e1f97b3891b [01.10.2024]

[19] ხელმისაწვდომია: https://gcca.gov.ge/uploads_script/legislation/tmp/phpP7ceXL.pdf [01.10.2024]

აღსანიშნავია, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების ზეგავლენის შეფასება ეფუძნება ბაზრის შედარებით ანალიზს გადაწყვეტილების მიღებამდე და გადაწყვეტილების მიღების შემდგომი პერიოდებისათვის. გადაწყვეტილების ზეგავლენის შეფასებისას ყურადღება ექცევა როგორც შესაბამის ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს ანალიზს, ასევე ბაზრის ზოგად ეკონომიკურ მაჩვენებლებს, როგორებიცაა ბაზრის მოცულობა, ფასების დონე, ინვესტიციები და სხვა. გასათვალისწინებელია, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება უნდა მოხდეს მისი მიღებიდან გონივრული დროის გასვლის შემდგომ, რათა შესაძლებელი იყოს გადაწყვეტილებით გამოწვეული ეფექტების შეფასება. გადაწყვეტილების მიღებიდან მცირე პერიოდში ვერ მოხდება გადაწყვეტილების რეალური ეფექტების გამოკვეთა, ხოლო ხანგრძლივი პერიოდის გასვლამ შესაძლოა ბაზარზე სხვა ფაქტორები წარმოშვას, რაც შეასუსტებს მიზეზობრივ კავშირს გადაწყვეტილებისა და მიღებულ შედეგებს შორის. აქედან გამომდინარე, კანონმდებლობით განსაზღვრულია, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების ზეგავლენის შეფასების მიზნით ბაზრის მონიტორინგი შესაძლოა დაიწყოს შესაფასებელი გადაწყვეტილების მიღებიდან არანაკლებ ერთი წლის შემდეგ.[20]

სახელმწიფო შესყიდვების ბაზრის სპეციფიკის გათვალისწინებით, კონკურენციის შემზღუდველი ან გამომრიცხავი სატენდერო პირობები, როგორც ადმინისტრაციული ბარიერი, არა მხოლოდ მყისიერად ბლოკავს ბაზარზე შესვლის შესაძლებლობას, არამედ ამ ბარიერის მოხსნისთანავე იძლევა დაინტერესებული პრეტენდენტი ეკონომიკური აგენტებისთვის ბაზარზე წვდომის საშუალებას, რაც თითოეული შესყიდვის პროცესისათვის თავისუფალი კონკურენციის წინაპირობას ქმნის. შესაბამისად, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს აღნიშნული ეფექტის შეფასებას წინამდებარე დოკუმენტის ფარგლებში.

როგორც აღინიშნა, შესაფასებელი გადაწყვეტილება დამტკიცებულ იქნა სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით. აღნიშნული ბრძანება შესაბამისი გადაწყვეტილებითურთ მოკვლევის მხარეებს მიეწოდათ 2023 წლის 11 აპრილს[21] კანონით დადგენილი წესით. ამასთან, გადაწყვეტილება ამავე დღეს გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე კანონმდებლობით განსაზღვრული წესით, რომელიც მხარეების მიერ არ გასაჩივრებულა.

ამასთან, რამდენადაც შესაფასებელი გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლიდან ამ გადაწყვეტილების ბაზარზე გავლენის შეფასების პროცესის დაწყებამდე გასული იყო ერთი წელი, **სააგენტომ ზეგავლენის შეფასება განახორციელა გადაწყვეტილების მიღებიდან ერთი წლის პერიოდში (შემდგომში „განსახილველი პერიოდი“).**

სააგენტო აქვე აღნიშნავს, რომ არც შესაბამისი მოკვლევის პროცესში და არც გადაწყვეტილების ex-post მონიტორინგის დროს სააგენტო არ აფასებს აკრედიტაციის ცენტრისა და სასამართლოს კომპეტენციას მიკუთვნებულ საკითხს და არ განიხილავს, თუ რამდენად სწორად განხორციელდა მომჩივანის მიერ აკრედიტაციის სფეროს გამოყენება ან

[20] საქართველოს კონკურენციის სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ 27-ე მუხლი.
[21] სააგენტოს 2023 წლის 11 პარილის წერილები N970, N974 და N979

რამდენად სწორად მოხდა მის მიმართ საქმიანობის დროებითი შეჩერება ან/და აკრედიტაციის სფეროს შეჩერება. სააგენტომ შესაბამისი გადაწყვეტილებით კონკურენციის კანონმდებლობასთან შეუსაბამოდ მიიჩნია ტენდერში მონაწილეობის შემზღუდველი პირობების გამოყენება, როდესაც აღნიშნულ ქმედებას არ გააჩნდა იმგვარი საფუძველი, რომელიც დააკმაყოფილებდა შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან თანაზომიერების პრინციპის კრიტერიუმებს. თავის მხრივ, გადაწყვეტილების ზეგავლენის შეფასების მიზანია გამოვლინდეს თუ რა გავლენა მოახდინა აღნიშნულმა გადაწყვეტილებამ სატენდერო პირობების ფორმირებაზე და ამის შედეგად, შესაბამის ბაზარსა და ამ ბაზარზე არსებულ კონკურენტულ გარემოზე.

1. საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული სამიზნე გადაწყვეტილება

1.1. მოკვლევის დაწყების საფუძველი

სააგენტოს თავმჯდომარის 2022 წლის 13 ოქტომბრის №04/206 ბრძანების შესაბამისად დაიწყო საქმის მოკვლევა კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტზე. მოკვლევის დაწყების საფუძველი გახდა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ (ს/ნ: 400165405) საჩივარი (რეგ. N01/1628), რომელიც ეხებოდა მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოსა (ს/ნ: 234232149) და გორის მუნიციპალიტეტის მერიის (ს/ნ: 218086087) მიერ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-10 მუხლის „გ“ ქვეპუნქტის სავარაუდო დარღვევის ფაქტს.

საჩივარში აღნიშნული იყო, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოსა და გორის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გამოცხადებულ ტენდერებში, რომლების მიზანს წარმოადგენდა შესაბამის მუნიციპალიტეტებში განსახორციელებელი 50 000 ლარზე მეტი ღირებულების ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების გამწევი პრეტენდენტის შერჩევა, გათვალისწინებული იყო სადავო სატენდერო მოთხოვნა. კერძოდ, ტენდერში მონაწილეობის უფლება ჰქონდათ სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის (შემდგომში - „აკრედიტაციის ცენტრი“) მიერ აკრედიტირებულ ინსპექტირების ორგანოებს, რომელთაც უნდა ჰქონოდათ აკრედიტაცია შესყიდვის ობიექტში ჩაშლილი საზედამხედველო სამუშაოების ყველა მიმართულებით. ამასთანავე, დაწესებული იყო კონკურენციის შემზღუდველი ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში. ამდენად, მიუხედავად შესაბამის სფეროში აკრედიტაციის არსებობისა, ისეთ ორგანიზაციას, რომელიც იმყოფებოდა დავაში აკრედიტაციის ცენტრთან (და დავის მიუხედავად არ ჰქონდა შეჩერებული

აკრედიტაცია სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე), შეზღუდული ჰქონდა ტენდერში მონაწილეობის უფლება.

1.2. შესაბამისი ბაზარი და შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტები

სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ (შემდგომში - „მეთოდური მითითებები“) მე-5 მუხლის პირველი პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის იდენტიფიცირება ხდება შემდეგი სამი პარამეტრის მეშვეობით:

ა) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის პროდუქციული საზღვრები: მეთოდური მითითებების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესაბამისი ბაზრის პროდუქციულ საზღვრებში ექცევა ყველა საქონელი ან მომსახურება, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს ურთიერთჩანაცვლებადად ამ საქონლის/მომსახურების მახასიათებლებიდან, ფასებიდან და მათი გამოყენების მიზნებიდან გამომდინარე. ბაზრის პროდუქციული საზღვრების დადგენისას ურთიერთჩანაცვლებადობის კრიტერიუმი შესაძლოა, განხილულ იქნეს როგორც მომხმარებლის, ასევე მიმწოდებლის/მწარმოებლის თვალსაზრისით. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფო შესყიდვებთან - ტენდერებთან მიმართებით, კანონის მე-10 მუხლის სავარაუდო დარღვევის ფაქტებთან დაკავშირებული მოკვლევის ფარგლებში, სააგენტოს დამკვიდრებული აქვს პრაქტიკა შესაბამისი ბაზრის განსაზღვრასთან დაკავშირებით. არსებული პრაქტიკა გულისხმობს შემდეგს, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ჩატარებული ყოველი ტენდერის შემთხვევაში იქმნება ცალკე შესაბამისი ბაზარი, რომელსაც გააჩნია შესვლის ცალკე ბარიერები, მასზე მოქმედი პოტენციური სუბიექტები და მოცულობა (რომელიც განისაზღვრება შესასყიდი ობიექტის შესაბამისად). ამდენად, სააგენტომ ცალ-ცალკე დაადგინა შესაბამისი ბაზრები შემდეგი პროდუქციული საზღვრების გათვალისწინებით:

1. ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი **- NAT220009661;**
2. ინფრასტრუქტურული ობიექტების სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურებების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ელექტრონული ტენდერი **- NAT220015495.**

ბ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები: მეთოდური მითითებების მე-11 მუხლის შესაბამისად, სასაქონლო/მომსახურების ბაზრის გეოგრაფიული საზღვრები წარმოადგენს ტერიტორიას, რომელზეც შერჩეული ჯგუფის მყიდველები იძენენ ან აქვთ ეკონომიკური, ტექნიკური და სხვა სახის შესაძლებლობები, შეიძინონ განსახილველი საქონელი/მომსახურება. ელექტრონული ტენდერის (**NAT220009661**) ფარგლებში შესყიდული საზედამხედველო მომსახურებები შემოიფარგლებოდა მხოლოდ ერთი კონკრეტული ტერიტორიით - ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტი. შესაბამისად, სააგენტომ მიიჩნია, რომ

შესაბამის ბაზარს წარმოადგენდა ქ. მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია, ვინაიდან მიწოდების წერტილები განსახილველი ტენდერის ფარგლებში იყო გაფანტული მხოლოდ ქ. მარნეული მუნიციპალიტეტის მასშტაბით. **ამდენად, გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა მარნეულის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.** ანალოგიური პრინციპის მიხედვით, ელექტრონული ტენდერის (**NAT220015495**) ფარგლებში შესყიდული საზედამხედველო მომსახურებები შემოიფარგლებოდა ქ. გორის მუნიციპალიტეტით. შესაბამისად, **გეოგრაფიულ საზღვრად მიჩნეულ იქნა გორის მუნიციპალიტეტის ტერიტორია.**

გ) სასაქონლო/მომსახურების ბაზრის დროითი ჩარჩოები: მეთოდური მითითებების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამისი ბაზრის დროითი ჩარჩო წარმოადგენს დროის იმ პერიოდს, რომლის განმავლობაშიც ფუნქციონირებს ბაზარი კონკრეტული პროდუქციული და გეოგრაფიული საზღვრების პირობებში. განხილული ტენდერების ფარგლებში შესყიდული საზედამხედველო მომსახურებების ბაზარი არ წარმოადგენს სეზონური ხასიათის ბაზარს და იგი ფუნქციონირებს მთელი წლის განმავლობაში. ამ ბაზარზე არ შეინიშნება რაიმე სახის წყვეტა წელიწადის დროების მიხედვით. შესაბამისად, ბაზარს არ გააჩნია რაიმე დროითი ჩარჩო.

შესაბამის ბაზარზე მოქმედ სუბიექტებად სააგენტომ განიხილა არა მხოლოდ განსახილველი ტენდერების ფარგლებში არსებული მონაწილეები (პრეტენდენტები), არამედ ყველა ის სუბიექტი, რომელთაც მოქმედი აკრედიტაციის პირობებში შეეძლოთ გამოცხადებულ ტენდერებში მონაწილეობის მიღება. აკრედიტაციის ცენტრის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაციის თანახმად, მშენებლობის ინსპექტირების სფეროში აკრედიტირებული სუბიექტების რიცხვი შეადგენდა 39-ს, მათ შორის მომჩივანიც. აღნიშნული სუბიექტების აკრედიტაციის სფეროები ერთმანეთს სრულად არ ემთხვეოდა, თუმცა ყველა მათგანი აკრედიტირებული იყო საერთო სფეროში - A-ტიპის ინსპექტირების ორგანო (მშენებლობის სფეროში). მოკვლევის პროცესში, სადავო ტენდერის ფარგლებში შესასყიდ მომსახურებას წარმოადგენდა სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობის მომსახურება. სააგენტომ დააზუსტა, რომ მოკვლევის მიმდინარეობის პერიოდისთვის, აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტირებულ იმ ორგანოთა რაოდენობა, რომელთაც შეეძლოთ განეხორციელებინა სხვადასხვა სფეროში საზედამხედველო მომსახურება (გარდა გაზიფიცირების სამუშაოების ზედამხედველობისა), შეადგენდა 16-ს, მათ შორის იყო მომჩივანი კომპანიაც. აქედან გამომდინარე, აღნიშნული 16 სუბიექტის საქმიანობის თანაკვეთა შესაბამისი ბაზრის ფარგლებში ერთმნიშვნელოვნად დადგინდა, რის გამოც, სააგენტომ აღნიშნული ეკონომიკური აგენტები განიხილა შესაბამისი ბაზრის სუბიექტებად როგორც მარნეულის, აგრეთვე გორის მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებული ელექტრონული ტენდერების მიმართ.

1.3 შეზღუდვის გამამართლებელი არგუმენტაცია

მოპასუხეების განმარტებით, მთელი წლის განმავლობაში უწყვეტად მიმდინარეობდა სხვადასხვა ლოკაციაზე განთავსებული ობიექტების სამშენებლო სამუშაოები, ხოლო

ზედამხედველობა წარმოადგენს პროცესს, რომლის ფარგლებშიც პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს ამ სამუშაოებზე კომპეტენტური დაკვირვება. საზედამხედველო კომპანიისთვის აკრედიტაციის შეჩერების შემთხვევაში ის ვეღარ გააგრძელებდა საზედამხედველო საქმიანობას, რადგან ტენდერის პირობების თანახმად ამის უფლება აღარ ექნებოდა. მუნიციპალიტეტებს არ ჰყავდა შესაბამისი კომპეტენციის საჭირო რაოდენობის კადრი, ტექნიკური აღჭურვილობა და რესურსი, რათა საკუთარი ძალებით განეხორციელებინათ ამ რაოდენობის სამშენებლო ობიექტებზე ზედამხედველობა. შესაბამისად, ერთადერთი გამოსავალი ახალი საზედამხედველო კომპანიის შერჩევამდე და მასთან კონტრაქტის გაფორმებამდე იქნებოდა სამშენებლო სამუშაოების შეჩერება. ასეთ შემთხვევაში მუნიციპალიტეტს მოუწევდა სამშენებლო კომპანიებთან არსებული ხელშეკრულებების დარღვევა. ამასთან, ასევე არსებობდა რისკი, რომ სამშენებლო კომპანიები ზედამხედველობის გარეშე თვითნებურად განახორციელებდნენ ისეთ სამუშაოებს, რომელთა შემდგომი გადამოწმება/ზედამხედველობის გაწევა შეუძლებელი იქნებოდა. აგრეთვე, საფრთხე შეექმნებოდა ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის დროულ შესრულებას.

1.4. სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება

მოკვლევის პროცესში სააგენტომ იმსჯელა, რომ შემსყიდველ ორგანიზაციას სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელი კანონმდებლობის ფარგლებში შეუძლია თავად განსაზღვროს მოთხოვნები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შესყიდვის ობიექტი და პრეტენდენტთა ტექნიკური დოკუმენტაცია. აქვე, ხაზგასასმელია, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მიზნებია: სახელმწიფო შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვის უზრუნველყოფა, სახელმწიფო საჭიროებისათვის აუცილებელი საქონლის წარმოების, მომსახურების გაწევისა და სამშენებლო სამუშაოების შესრულების სფეროში ჯანსაღი კონკურენციის განვითარება, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვის მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა. ამასთან, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების დადგენისას, სახელმწიფო შემსყიდველ ორგანიზაციას აქვს შესაბამის ბაზარზე კონკურენციის შეუფერხებლობის ვალდებულება. შესაბამისი ბაზრის ორგანული და ბუნებრივი განვითარების პროცესში არათანაზომიერი, ხელოვნური ჩარევა ნებისმიერ შემთხვევაში ეწინააღმდეგება თავისუფალი ბაზრისა და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს მიმართ არსებულ საჯარო ინტერესებს.

აღსანიშნავია, რომ მმართველობითი ორგანოების საქმიანობის ფარგლებში, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე შერჩეული ღონისძიების დროს, აუცილებელია დაცული იყოს თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნები. თანაზომიერების პრინციპის მოთხოვნაა, რომ შემზღუდველი ღონისძიება უნდა წარმოადგენდეს ღირებული საჯარო (ლეგიტიმური) მიზნის მიღწევის გამოსადეგ და აუცილებელ საშუალებას. ამავე დროს, უფლების შეზღუდვის ინტენსივობა მისაღწევი საჯარო მიზნის პროპორციული, მისი

თანაზომიერი უნდა იყოს. დაუშვებელია ლეგიტიმური მიზნის მიღწევა განხორციელდეს უფლების მომეტებული შეზღუდვის ხარჯზე.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად არ არსებობდა არანაირი გარანტია, რომელიც უპირობოდ დააზღვევდა რისკს და ურყევ საფუძველს შექმნიდა შესაბამისობის შემფასებელი ორგანოს (შემდგომში „შშო“)[22] ინპექტირების ორგანოს მიმართ აკრედიტაციის ცენტრის გადაწყვეტილების წინასწარ განსაზღვრის, ყოველწლიური შეფასების, არაგეგმიური შეფასებისა თუ რეკომენდაციის პროცესში. ამასთან არ არსებობდა არანაირი გარანტია იმასთან დაკავშირებით, რომ ხელშეკრულების შეუსრულებლობის შედეგი არ დადგებოდა სხვა ნებისმიერი მიზეზითა თუ საფუძვლით, რისი წინასწარ განჭვრეტაც და პრევენციაც შეუძლებელი იქნებოდა. შესაბამისად, ყოველი საფუძვლით ხელშეკრულების შესაძლო შეუსრულებლობის დაშვება იყო ჰიპოთეტური და ალბათობაზე დაფუძნებული და შეუძლებელი იყო იმის მტკიცება, რომელი გარემოება დადგებოდა უფრო ადრე ან/და რომელი უფრო დიდი ალბათობის ხარისხით. აქედან გამომდინარე, სადავო სატენდერო პირობების გამოყენება არ იყო ლეგიტიმური საჯარო მიზნისათვის, ვინაიდან, ერთი მხრივ, სახელშეკრულებო ვადის მოქმედების პერიოდში ხელშეკრულების შეუსრულებლობის რისკი არსებობს ყოველთვის, ხოლო მეორე მხრივ, ვერ დადასტურდა, რომ მოქმედი აკრედიტაციისა და პრაქტიკული საქმიანობის პირობებში მყოფი მომჩივანი კომპანიის მხრიდან ხელშეკრულების პოტენციური შეუსრულებლობა უფრო მაღალი დონის რისკს წარმოადგენდა, ვიდრე სხვა პრეტენდენტების მიერ, მხოლოდ იმის გამო, რომ მომჩივანს აქვს მიმდინარე დავა აკრედიტაციის ცენტრთან.

სააგენტომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების ქმედება შეაფასა კონკურენციის კანონმდებლობასთან თანაზომიერების კონტექსტში, აგრეთვე შეაფასა პროპორციულობისა და არადისკრიმინაციულობის კუთხით.

ზემოთ მოცემული გარემოებების შეფასების შედეგად სააგენტომ მიიჩნია, რომ სადავო სატენდერო პირობა არ იყო პროპორციული. იგი ვერ უზრუნველყოფდა საჯარო და კერძო ინტერესების შეწონადობას, ვინაიდან გარკვეული ვადით უზღუდავდა მომჩივანს სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას კონკრეტულ სფეროში, მაშინ, როდესაც სწორედ აღნიშნული უფლების დაცვისა და რეალიზაციის მიზნებისათვის იქნა გამოყენებული სასამართლოს მიერ სუსპენზიური ეფექტი. ამასთან, შემსყიდველი ორგანიზაცია, კონკურენციის შემზღუდველი ჩანაწერის დაწესებით, ერთი მხრივ, ასევე, ეჭქვეშ აყენებდა ხელისუფლების დამოუკიდებელი შტოს, საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული კანონიერ ძალაში შესული განჩინების სისწორეს, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შეჩერების და დავის დასრულებამდე მომჩივანისათვის საქმიანობის განხორციელების უფლების მინიჭების შესახებ, ხოლო მეორე მხრივ, სადავო ჩანაწერი ვერ ჩაითვლება არადისკრიმინაციულად მხოლოდ იმის გამო, რომ აღნიშნულით ტენდერში მონაწილეობის უფლება ეზღუდებოდა მხოლოდ ერთ (ამ

[22] შშო - შესაბამისობის შემფასებელი ორგანო ან პირი, რომელიც ახორციელებს შესაბამისობის შეფასების საქმიანობას და არის აკრედიტებული ან შეიძლება იყოს აკრედიტაციის ობიექტი, იხ. საჯარო სამართლის იურიდიული პირის „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის“ გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

შემთხვევაში მომჩივან) ეკონომიკურ აგენტს, ვინაიდან კონკურენციის სამართლის აღსრულება თანაბრად ვრცელდება ყველა შემთხვევაზე, მიუხედავად იმისა, თუ რამდენ ეკონომიკურ აგენტს ეხება შესაძლო შემზღუდველი ქმედება. **მოპასუხეების მიერ სადავო სატენდერო პირობების გამოყენებამ შექმნა ბაზარზე შესვლის მნიშვნელოვანი და გაუმართლებელი ადმინისტრაციული ბარიერი, რამაც გამოიწვია ეკონომიკური აგენტის საქმიანობის შეფერხება.**

მოკვლევის პროცესში მოძიებული ინფორმაციის მიხედვით მსგავის ტიპის სატენდერო ჩანაწერი მითითებული იყო ხაშურის, ქარელის, კასპის, წალკის, გარდაბნისა და დმანისის მუნიციპალიტეტების მიერ გამოცხადებულ ტენდერებში. შესაბამისად, სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება მათაც გადაეგზავნათ.

ხაზგასასმელია რომ სააგენტოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა მხარეების მიერ თბილისის საქალაქო სასამართლოში და შესაბამისად, ძალაში შევიდა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

2. გადაწყვეტილების გავლენა შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო პირობების შინაარსის ფორმირებაზე

ვინაიდან სამიზნე გადაწყვეტილება შეეხებოდა სადავო სატენდერო პირობას და მის კონკურენციის შემზღუდველ ადმინისტრაციულ ბარიერად მიჩნევას, სააგენტომ ჩათვალა, რომ ზეგავლენის შეფასების პროცესში რელევანტური იქნებოდა გამოკვლეულიყო განსახილველ პერიოდში, როგორ შეიცვლა სატენდერო პირობების ფორმირების პროცესი ზემოაღნიშნული სადავო პირობის გამოყენების კუთხით.

ამ მიზნით, სააგენტომ მიმართა სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს[23], რათა წარმოედგინა ინფორმაცია სააგენტოს გადაწყვეტილების ფარგლებში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს მიერ გატარებელი ღონისძიებების შესახებ. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციით, საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების შინაარსის გათვალისწინებით, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტომ შემსყიდველ ორგანიზაციებს 2023 წლის 5 მაისს შესყიდვების სააგენტოს ოფიციალური ვებგვერდის - www.procecurement.gov.ge მეშვეობით მიაწოდა სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციით, ზემოაღნიშნული ღონისძიების განხორციელების შემდგომ, **შესყიდვების სააგენტოს მიერ შემსყიდველი ორგანიზაციების**

[23] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს წერილი (რეგ. №02/2543, 12.07 2024)

საქმიანობის მონიტორინგის პროცესში, ზემოთ მითითებულ ბრძანებაში გათვალისწინებული დარღვევა აღარ გამოვლენილა.[24]

შესყიდვების სააგენტოდან მიღებული ინფორმაციისა და სააგენტოს მონიტორინგის ჯგუფის მიერ წარმოების ფარგლებში ჩატარებული ღონისძიებების შედეგად მოპოვებული და გაანალიზებული ინფორმაციის საფუძველზე ერთმნიშვნელოვნად შეიძლება ითქვას, რომ შეფასების პერიოდის განმავლობაში სატენდერო პირობებში აღარ გვხვდება მოკვლევის პროცესში სადავოდ გამხდარი კონკურენციის შემზღუდველი სატენდერო პირობა, რომელიც პრეტენდენტს დაავალდებულებს წარმოადგინოს ცნობა სასამართლოდან, რომ არ მიმდინარეობს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/და მისი ქვეკონტრაქტორის აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში.

გადაწყვეტილების შესაბამის ბაზარზე ზეგავლენის შეფასების მიზნებისთვის, სააგენტომ მიმართა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებულ დავების განხილვის საბჭოს, რომელსაც ეთხოვა წარმოედგინა ინფორმაცია 2023 წლის 10 აპრილიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით იყო თუ არა დავების განხილვის საბჭოში შესული საჩივარი, რომელიც ეხებოდა მოკვლევის პროცესში სადავოდ გამხდარი კონკურენციის შემზღუდველი სატენდერო პირობის მითითებას სახელმწიფო შესყიდვებში[25]. სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს საპასუხო კორესპონდენციიდან[26] ირკვევა, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ ასევე იღებდა **მონაწილეობას 71500000-(მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვის კატეგორიით** დაკვალიფიცირებულ სახელმწიფო შესყიდვებში. საბჭოს მიერ განხილულ იქნა შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიერ წარმოდგენილი DET230007136_01(NAT) საჩივარი, რომლის ფარგლებშიც, შეფასდა NAT230007136 ელექტრონული ტენდერის 2.7.1 პუნქტის მე-4 ქვეპუნქტის კანონმდებლობასთან შესაბამისობის საკითხი. ხსენებული პუნქტის თანახმად პრეტენდენტს *უნდა წარმოედგინა ცნობა სსიპ „აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრიდან“, რომ არ მიმდინარეობდა სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთი არსებობის შემთხვევაში) სატენდერო დოკუმენტაციის შესყიდვის ობიექტში მითითებულ სფეროში აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში.* აღნიშნული ცნობა გაცემული უნდა ყოფილიყო - „ტენდერი გამოცხადებულია“ სტატუსის მინიჭების შემდეგ. აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვა გამოცხადდა 2023 წლის 29 მარტს, ხოლო წინადადებების მიღება უნდა დაწყებულიყო 2023 წლის 26 აპრილს. 2023 წლის 24 მაისის მცხეთის მუნიციპალიტეტის მერიის სატენდერო კომისიის სხდომის ოქმი N2-ს საფუძველზე შესყიდვას მიენიჭა სტატუსი „შეწყვეტილია“, ***რაც მიუთითებს იმ ფაქტზე, რომ ტენდერის გამოცხადებისა და წინადადების მიღების თარიღები ემთხვევა სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების მიღებამდელ პერიოდს, ხოლო შესყიდვის შეწყვეტის თარიღი, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ პერიოდს. შესაბამისად,***

[24] სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წერილი (რეგ. №2090, 12.07 2024)

[25] საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს წერილი (რეგ. №02/2542, 09.07 2024)

[26] სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს წერილი (რეგ. № DIS02/102, 11/07/2024).

კონკურენციის შემზღუდველი სადავო პირობის გამოყენებას ამ შემთხვევაშიც არ ჰქონია ადგილი სააგენტოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდგომ.

უფრო მეტიც, მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ NAT230007136 შეწყვეტილი სახელმწიფო შესყიდვის ნაცვლად, 2023 წლის 21 აგვისტოს გამოცხადებულ იქნა ახალი NAT230017091 სახელმწიფო შესყიდვა, სადაც სადავო პირობა აღარ იყო ჩადებული.

შესაბამისად, დისკრიმინაციული და კონკურენციის შემზღუდველი პირობის შემცველი თავდაპირველი ტენდერის ნაცვლად ახალი, არადისკრიმინაციული სატენდერო პირობებით ფორმირებული სახელმწიფო შესყიდვის გამოცხადება, რაც ყველა დაინტერესებულ პრეტენდენტს (რომელიც მოქმედ აკრედიტაციას ფლობდა შესაბამის სფეროში, მიუხედავად აკრედიტაციის ცენტრთან აკრედიტაციის საკითხებთან დაკავშირებული დავისა) მასში მონაწილეობის მიღების თანაბარ შესაძლებლობას აძლევდა, შეიძლება მიჩნეულ იქნას სააგენტოს შესაფასებელი გადაწყვეტილების ძალაში შესვლის პირდაპირ ეფექტად.

გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის შეფასების ფარგლებში, სააგენტომ მიმართა მოკვლევის პროცესში მომჩივან მხარედ წარმოდგენილ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფს“, რომელსაც ეთხოვა წარმოედგინა ინფორმაცია სააგენტოს გადაწყვეტილების მიღებიდან 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით სახელმწიფო შესყიდვებში მათი კომპანიის მონაწილეობის შესახებ. ასევე, ეთხოვათ განემარტათ ამავე პერიოდში, სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ფარგლებში ხომ არ შექმნიათ რაიმე სახის ბარიერი.

შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ საპასუხო წერილით გაირკვა, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ კომპანიას არ შექმნია ბარიერი სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის ფარგლებში.[27] ამასთან, კომპანია სისტემატიურად იღებდა მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვებში.

მოცემული საკითხების გათვალისწინებით უნდა აღინიშნოს, რომ სააგენტოს გადაწყვეტილების დასაბუთების ხარისხი იმდენად მაღალი იყო, რომ მხარეების მიერ არ მომხდარა მისი გასაჩივრება სასამართლოში **და გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდეგ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან აღარ განმეორებულა სატენდერო მოთხოვნებში გადაწყვეტილებაში მითითებული კონკურენციის შემზღუდველი ჩანაწერის არსებობის ფაქტი**. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ **სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს სატენდერო პირობების ფორმირების პროცესში სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულება და კონკურენციის პრინციპის დაცვა. შედეგად,** აღმოიფხვრა კონკურენციის შემზღუდველი სატენდერო პირობის გამოყენა, რომელიც აქტიური აკრედიტაციის პირობებში მყოფ ეკონომიკურ აგენტს უზღუდავდა ტენდერში მონაწილეობას, მის მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო დავის/პროცესის არსებობის მიზეზით. **აქედან გამომდინარე, გადაწყვეტილებამ დადებითი გავლენა იქონია**

[27] შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის წერილი (რეგ. № გ 1263, 16.07.2024)

შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ სატენდერო დოკუმენტაციის შინაარსის ფორმირებაზე და საბოლოო ჯამში, სახელმწიფო შესყიდვებში კონკურენციის ხარისხზე.

3. გადაწყვეტილების გავლენა შესაბამის ბაზარზე

სააგენტოს გადაწყვეტილების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასება დამხმარე საშუალებაა იმის დასადგენად, მიაღწია თუ არა მიზანს მის მიერ მიღებულმა გადაწყვეტილებამ, ხოლო მისი მიუღწევლობის შემთხვევაში, რამ განაპირობა აღნიშნული შედეგი. აღნიშნული შეფასების პროცესის მიზანია დადგინდეს, რამდენად დადებითი ეფექტი ჰქონდა სააგენტოს გადაწყვეტილებას იმ კონკრეტული ბაზრის მიმართ, რომელთან დაკავშირებითაც იქნა მიღებული შესაბამისი გადაწყვეტილება.[28]

შესაბამის ბაზარზე კონკურენციის ხარისხის განმაპირობებელ ერთ-ერთ უმთავრეს გარემოებას წარმოადგენს ამ ბაზარზე მოქმედ სუბიექტთა რაოდენობა. სააგენტოს თავმჯდომარის 2020 წლის 23 ოქტომბრის N37 ბრძანებით დამტკიცებული „ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების“ მე-5 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე მოქმედი სუბიექტების რაოდენობის ანალიზი წარმოადგენს ამ ბაზარზე არსებული კონკურენტული გარემოს შეფასების ერთ-ერთ პარამეტრს. გმოკვლევის დავის საგნიდან და სააგენტოს გადაწყვეტილების შინაარსიდან გამომდინარე, სააგენტოს გადაწყვეტილებას პირდაპირი ზეგავლენა ექნებოდა და მომავალში ექნება ისეთ ეკონომიკურ აგენტებზე, რომლებსაც ჰქონდათ/ექნებათ მიმდინარე სასამართლო დავა აკრედიტაციის ცენტრთან აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით.

ზემოთხსენებულ გადაწყვეტილებაში სააგენტო აღნიშნავდა, რომ სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ დაწესებული შეზღუდვა იწვევდა ბაზრიდან კონკრეტული სუბიექტის განდევნას, რომელსაც დავა ჰქონდა აკრედიტაციის ცენტრთან აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში. ცხადია, მოკვლევის პერიოდში ისეთი კომპანია, რომელსაც დავა ჰქონდა აკრედიტაციის ცენტრთან იყო მომჩივანი, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“. ამასთან, მიღებული გადაწყვეტილების შესაბამის ბაზარზე ზეგავლენის შეფასების პროცესში სააგენტომ აკრედიტაციის ცენტრისგან გამოითხოვა ინფორმაცია 2022 წლის 10 აპრილიდან 2024 წლის 30 ივნისის ჩათვლით რამდენ შემთხვევაში მოხდა აკრედიტირებული პირისათვის აკრედიტაციის შეჩერება ან/და გაუქმება; ასევე, ინფორმაცია მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია აკრედიტაციის სტატუსის შეჩერებასთან ან/და გაუქმებასთან[29]. როგორც აკრედიტაციის

[28] საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებული გზამკვლევი დოკუმენტი სააგენტოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასებისა და განსახილველად სავალდებულო რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის შესახებ, 2023, გვ.4

[29]საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს წერილი (რეგ. №02/2541, 09.07 2024)

ცენტრის საპასუხო წერილიდან ირკვევა, სამშენებლო სექტორის ინსპექტირების ორგანოებთან კორესპონდენციის წარმოების დროისათვის მიმდინარეობდა 3 (სამი) სასამართლო დავა.[30]

აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, სააგენტომ გამოითხოვა ინფორმაცია იმ ეკონომიკური აგენტებისაგან, რომლებსაც აქვთ სასამართლო დავა აკრედიტაციის ცენტრთან. აღნიშნული კომპანიების საპასუხო წერილებიდან ირკვევა რომ ერთ-ერთი ეკონომიკური აგენტი შეფასების პერიოდში არ ოპერირებდა სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე[31], შესაბამისად, მის საქმიანობაზე სააგენტოს გადაწყვეტილებას ვერ ექნებოდა რაიმე ტიპის ზეგავლენა, მეორე ეკონომიკური აგენტის განმარტებით კი, შეფასების პერიოდში სახელმწიფო შესყიდვების მონაწილეობის ფარგლებში არ შექმნია არანაირი ბარიერი აკრედიტაციის ცენტრთან დავის არსებობის გამო,[32] ხოლო მესამე ეკონომიკური აგენტი არის თავად მომჩივანი, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“. *<u>აქედან გამომდინარე, სააგენტოს მიაჩნია, რომ განსახილველი გადაწყვეტილების გავლენის შეფასება უნდა მოხდეს სწორედ იმ ეკონომიკურ აგენტებზე დაკვირვებით, რომლებსაც მიმდინარე დავა ჰქონდათ აკრედიტაციის ცენტრთან აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით და სააგენტოს გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ ამ ეკონომიკურ აგენტებს, მიუხედავად სასამართლო დავის არსებობისა, ჰქონდათ შესაძლებლობა მიეღოთ მონაწილეობა ტენდერებში.</u>*

შესაბამის ბაზარზე მოქმედ ეკონომიკურ აგენტებთან მიმართებით სააგენტო მიუთითებს, რომ მიუხედავად შესაბამისი კანონმდებლობით გასაზღვრული აკრედიტაციის 4 წლიანი ციკლისა, ნებისმიერი შშო დგას აკრედიტაციის სტატუსის შეჩერების ანდა დაკარგვის საფრთხის წინაშე და აკრედიტაციის 4 წლიანი მოწმობა არ არის გარანტია მთელი ამ ვადის განმავლობაში აკრედიტაციის ქონისა, რაც ნათლადაა დადგენილი „აკრედიტაციის წესებისა და პროცედურის“ მიხედვით. კერძოდ, თითოეული შშო-ს აკრედიტაციის სტატუსის შენარჩუნებაზე ზრუნვა უწევს ყოველ წელს ყოველწლიური სავალდებულო შემოწმების ფარგლებში. გარდა ამისა, ნებისმიერი შშო შესაძლოა გახდეს აკრედიტაციის ცენტრის მხრიდან არაგეგმიური შეფასების ობიექტი, შესაბამისი საფუძვლის არსებობის შემთხვევაში. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ვინაიდან განხილულ ტენდერებში სახეზე გვქონდა მრავალწლიანი ხელშეკრულებები, იზრდებოდა რისკიც, ვინაიდან, ტენდერში გამარჯვებულ შშო-ს ყოველწლიური შეფასების გავლა მოუწევდა არა ერთხელ, არამედ იმდენჯერ, რამდენ წლიანიც იყო ხელშეკრულება, აგრეთვე, იზრდებოდა რისკი გამოვლენილიყო არაგეგმიური შემოწმების საფუძველიც[33].

სააგენტოს დაკვირვების საგანი იყო ის, თუ რამდენად აქტიურად ახორციელებდა აკრედიტირებულ საქმიანობას მომჩივანი სასამართლო დავის პარალელურად. სააგენტოს მიერ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონულ სისტემაზე დაყრდნობით მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, 2022 წელს სამშენებლო საზედამხედველო

---

[30] სსიპ აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის წერილი (რეგ. № GAC-03/799, 22.07.2024).

[31] შპს „ექსპერტიზა, მშენებლობა, დიზაინის“ წერილი (რეგ. №01/3906; 01.08.2024)

[32] შპს „ტრიჯიტის“წერილი (რეგ. N01/5000, 01.10.2024)

[33] აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორის 2020 წლის 10 აპრილის №01-1 ბრძანებით დამტკიცებული „აკრედიტაციის წესები და პროცედურები“.

მომსახურების შესყიდვის მიზნით **გამოცხადებული იყო 98 ტენდერი, მომჩივან** კომპანიას მიღებული ჰქონდა **მონაწილეობა 29 ტენდერში,** საიდანაც **გამარჯვება მოიპოვა 16 ტენდერში,** აქედან 11 ხელშეკრულება იყო მოკლევადიანი (შესრულების ვადა 31.12.2023 წლამდე), ხოლო 5 - გრძელვადიანი. იმ მოცემულობაში, როდესაც სამშენებლო სამუშაოებზე საზედამხედველო მომსახურების სფეროში აკრედიტაცია გააჩნდა 16 სუბიექტს, აღნიშნული მონაცემები ადასტურებდა, რომ შპს **„საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ და მასთან ერთად ასევე აკრედიტაციის ცენტრთან დავაში მყოფი შპს „ტრიჯიტი“ საკმაოდ აქტიურად ახორციელებდნენ სამეწარმეო საქმიანობას** - შესაბამის ტენდერებში მონაწილეობას. ამ უკანასკნელს შეფასების საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა აქვს მიღებული ორ სახელმწიფო შესყიდვაში (იხ. დიაგრამა N7).

აქვე , აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებულ გადაწყვეტილებაში განხილული სახელმწიფო შესყიდვები, რომლებიც ითვალისწინებდნენ სადავო დათქმას („არ უნდა მიმდინარეობდეს სასამართლო პროცესი პრეტენდენტის ან/ და მისი ქვეკონტრაქტორის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებაში“), კვალიფიცირდებოდა **71200000 შესყიდვის კატეგორიის** (არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) **71247000 კლასიფიკატორის კოდით** (სამშენებლო სამუშაოების ზედამხედველობა).

ამასთან, ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადების პროცესში დავების საბჭოს კორესპონდენციით[34] ცნობილი გახდა, რომ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ მონაწილეობას იღებდა 71500000-(მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვის კატეგორიით დაკვალიფიცირებულ სახელმწიფო შესყიდვებშიც.

ზემოთ აღნიშნული გარემოების საფუძველზე, სააგენტომ ზეგავლენის შეფასების დოკუმენტის მომზადების პროცესში იხელმძღვანელა შეფასების პერიოდში სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებული როგორც 71200000 შესყიდვის კატეგორიის (არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები), ასევე 71500000-(მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვის კატეგორიით დაკვალიფიცირებულ სახელმწიფო შესყიდვების მონაცემებით ზოგადად და უშუალოდ შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფისა“ და შპს „ტრიჯიტის“ მონაწილეობის ჭრილში.

შედეგად, შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ საპასუხო კორესპონდენციის (რეგ. №გ 1263 16/07/2024), ასევე სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური ვებგვერდის მონაცემების დამუშავების საფუძველზე დგინდება, რომ განსახილველი პერიოდის განმავლობაში სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცხადებულ იქნა 250 (ორასორმოცდაათი) სახელმწიფო შესყიდვა 71200000 შესყიდვის კატეგორიით (არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები). მათ შორის, 169 სტატუსით „ხელშეკრულება დადებულია“, 4 – „მიმდინარეობს ხელშეკრულების მომზადება“, 18 – „შეწყვეტილია“, 33 – „არ შედგა“, 16 – „დასრულებულია უარყოფითი შედეგით“, 2 – „გამარჯვებული გამოვლენილია“, 2 –

[34] სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს წერილი (რეგ.№ 01/3612, 11/07/2024).

„შერჩევა/შეფასება“, 5 – „წინადადების მიღება დასრულებულია“ და 1 – „გამოცხადებულია“ (იხ. დიაგრამა №1).

დიაგრამა №1



შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ მონაწილეობა მიიღო 32 სახელმწიფო შესყიდვაში, საიდანაც გამარჯვება მოიპოვა 20 სახელმწიფო შესყიდვაში, მათ შორის 15 შესყიდვაში კონკურენტის გარეშე, ხოლო 5 - უშუალო კონკურენტების მონაწილეობით. (იხ. დიაგრამა №2)

დიაგრამა №2



<u>შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფის“ მიერ მოგებული 71200000 შესყიდვის კატეგორიის სახელმწიფო შესყიდვების სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 5 284 429 ლარს, ხოლო 2024 წლის 30 ივნისისთვის გაფორმებული სახელშეკრულებო თანხების მოცულობა 4 162 813 ლარს შეადგენს</u>.(იხ. დიაგრამა №3)

<u>დიაგრამა №3</u>



რაც შეეხება 71500000-(მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვის კატეგორიით დაკვალიფიცირებულ სახელმწიფო შესყიდვებს, განსახილველი პერიოდის განმავლობაში სხვა და სხვა სახელწიფო უწყებების მიერ გამოცხადებულ იქნა 58 სახელმწიფო შესყიდვა, მათ შორის 48 სტატუსით “ხელშეკრულება დადებულია“, 7 – „არ შედგა“ და 3 „შეწყვეტილია“. (იხ. დიაგრამა №4).

<u>დიაგრამა №4</u>



შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფმა“ მონაწილეობა მიიღო 13 სახელმწიფო შესყიდვაში. გაიმარჯვა 8 სახელმწიფო შესყიდვაში, აქედან სამ შემთხვევაში ერთპიროვნულად, ხოლო 5 უშუალო კონკურენტების მონაწილეობით. (იხ. დიაგრამა №5)

<u>დიაგრამა №5</u>



71500000 კატეგორიის სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება შეადგენდა 2 070 425 ლარს, ხოლო 2024 წლის 30 ივნისის პერიოდისათვის სახელშეკრულებო ღირებულების საერთო მოცულობა 1 844 480 ლარს შეადგენს. (იხ. დიაგრამა №6)

<u>დიაგრამა №6</u>



რაც შეეხება შპს „ტრიჯიტის“ მონაწილეობას სახელმწიფო შესყიდვებში, როგორც ჩანს, სახელმწიფო შესყიდვების ოფიციალური ვებ გვერდის მონაცემებით, 2023 წლის 10 მაისიდან 2024 წლის 30 ივნისამდე პერიოდში შპს „ტრიჯიტი“-ს (ს/ნ: 205287018) სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მიერ გამოცხადებული 71200000 შესყიდვის (არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) კატეგორიით დაკვალიფიცირებულ ორ სახელმწიფო შესყიდვაში (რაც ზემოთაც არის აღნიშნული) აქვს მიღებული მონაწილეობა. კერძოდ, შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ გამოცხადებულ NAT230022852 ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე, სავარაუდო ღირებულებით 400 000 ლარი და სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს NAT230010572 ელექტრონულ ტენდერში აუქციონის გარეშე, სავარაუდო ღირებულებით 682 222 ლარი. შპს „ტრიჯიტი“-მ გაიმარჯვა შპს “საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ მიერ გამოცხადებულ ელექტრონულ ტენდერში, რომლის სახელშეკრულებო (დადებული13.12.2023წ.) ღირებულებაა 296 980 ლარი (იხ. დიაგრამა №7), აღნიშნულ ტენდერში შპს „ტრიჯიტი“-ს კონკურენციას უწევდა შპს "საავტომობილო გზების რეაბილიტაციისა და მოდერნიზაციის ზედამხედველობის დირექცია“ ს/ნ 212272477.

დიაგრამა №7



ბაზრის ანალიზის მეთოდური მითითებების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესაბამის ბაზარზე კონკურენტული გარემოს შეფასების ერთ-ერთ დამატებით პარამეტრს ასევე წარმოადგენს შესაბამის ბაზარზე შესვლის ბარიერები. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ სადავო სატენდერო პირობა არსებით ბარიერს ქმნიდა იმ ეკონომიკური

აგენტისათვის, რომელსაც მიუხედავად აკრედიტაციის არსებობისა, აკრედიტაციის ცენტრთან აკრედიტაციის სტატუსთან მიმართებით მიმდინარე სასამართლო დავის პირობებში ეზღუდებოდა სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის უფლება. სააგენტოს აღნიშნულმა სამიზნე გადაწყვეტილებამ და მოპასუხე თვითმმართველობის ორგანოებისა და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მხრიდან ამ გადაწყვეტილების აღსრულებამ (სატენდერო პირობების ფორმირების პროცესში უზრუნველყონ კონკურენციის პრინციპის დაცვა), არ გამოიყენონ სატენდერო პირობა, <u>რომელიც მოქმედი აკრედიტაციის პირობებში მყოფ ეკონომიკურ აგენტს შეუზღუდავს ტენდერში მონაწილეობას, მის მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო დავის/პროცესის არსებობის მიზეზით, უზრუნველყო აღნიშნული ბარიერის ამოღება და შესაბამისი ბაზრის მაქსიმალური ლიბერალიზაცია.</u>

დასკვნა

სააგენტოს თავმჯდომარის 2023 წლის 10 აპრილის №04/183 ბრძანებით დამტკიცებული გადაწყვეტილების შესაბამის ბაზარზე/კონკურენტულ გარემოზე ზეგავლენის შეფასების პროცესში, სააგენტოს მიერ მოძიებული და მის ხელთ არსებული ინფორაციის/დოკუმენტაციის დამუშავებისა და ანალიზის, ასევე სტატისტიკური მონაცემების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების გაკეთება:

1. ზეგავლენის შეფასების პერიოდში კერძოდ, სააგენტოს სამიზნე გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ერთი წლის (კერძოდ, 2024 წლის 30 ივნისამდე) განმავლობაში, გადაწყვეტილებით დადგენილი კონკურენციის შემზღუდველი **სადავო სატენდერი პირობის გამოყენებას, როგორც ადმინისტრაციულ ბარიერს, დაინტერესებული ეკონომიკური აგენტებისათვის, სახელმწიფო შემსყიდველი ორგანიზაციების მხრიდან არ ჰქონია ადგილი.**

2. **სახელმწიფო შემსყიდველმა ორგანიზაციებმა უზრუნველყვეს სატენდერო პირობების ფორმირების პროცესში სააგენტოს გადაწყვეტილების შესრულება და კონკურენციის პრინციპის დაცვა.** შესაბამისად, აღმოიფხვრა კონკურენციის შემზღუდველი სატენდერო პირობის გამოყენა, რომელიც მოქმედი აკრედიტაციის პირობებში მყოფ ეკონომიკურ აგენტს უზღუდავდა ტენდერში მონაწილეობას, მის მიმართ აკრედიტაციის სტატუსთან დაკავშირებული სასამართლო დავის/პროცესის არსებობის მიზეზით.

3. სამიზნე გადაწყვეტილების ფარგლებში:

   3.1. მომჩივანი ეკონომიკური აგენტი შპს „საინჟინრო მონიტორინგის ჯგუფი“ სამიზნე გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან, კერძოდ, 2023 წლის 10 მაისიდან 2024 წლის 30 ივნისამდე (განსახილველ პერიოდში), **შეუფერხებლად იღებდა მონაწილეობას** 71500000-(მშენებლობასთან დაკავშირებული მომსახურებები) და (არქიტექტურული და მასთან დაკავშირებული მომსახურებები) შესყიდვის

კატეგორიებით გამოცხადებულ სახელმწიფო შესყიდვებში და ხშირ შემთხვევებში იმარჯვებდა კიდეც (იხ. დიაგრამები N1-N6).

3.2. ზეგავლენის შეფასების პერიოდში, სახელმწიფო **შესყიდვებში მონაწილეობის კუთხით პრობლემა არ შექმნია** აკრედიტაციის ცენტრთან დავაში მყოფ დამატებით კიდევ ერთ ეკონომიკურ აგენტს შპს „ტრიჯიტის“ (იხ. დიაგრამა N7).